

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სხვებთან შედარებით შორს თუ ვიხედებოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიდექი გიგანტების მხრებზე.

ი.ნიუტონი

არავითარი მეცნიერება არ იარსებებდა, თუ არა რწმენა, რომ ჩვენი თეორიული კვლევებით მოვიცავთ რეალობას. ეს რწმენა არის და ყოველთვის იქნება ნებისმიერი მეცნიერული შემოქმედების ძირითადი მოტივი.

ა.აინშტაინი, ლ.ინფელდი

მწირი ბუნებრივი რესურსების პირობებში მხოლოდ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა შეიძლება გახდეს ინდუსტრიულ სამყაროში საქართველოს ინტეგრაციის გარანტი.

მცირე დაფინანსების გამო თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად ახალი ქმედითუნარიანი ინსტიტუციური სისტემის შექმნა შესაძლებელია მეცნიერების ტრადიციული, მაღალრეიტინგული საბაზისო მიმართულებების კონცენტრაციით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოადგენს სამეცნიერო ბირთვს, რომლის ბაზაზეც უკვე იგება ახალი ქმედითუნარიანი ინსტიტუციური სისტემა.

2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საქართველოს კანონს „მეცნიერების,

ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. ამ კანონის შესაბამისად „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სრული ავტონომიური უფლებით და სახელმწიფო დაფინანსებით“.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით მეორე წელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ჩამოყალიბდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (სსიპ), რის საფუძველზეც გამოყვანილი იქნენ აკადემიის შემადგენლობიდან.

ზემოთ მითითებული კანონის საფუძველზე სამეცნიერო დაწესებულებები, მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ვალდებულნი გახდნენ საქმიანობის წლიური სამეცნიერო ანგარიშები განსახილველად წარუდგინონ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2006 წლის სამეცნიერო ანგარიშები წარმოადგინა 69 სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ, ხოლო 2007 წლის სამეცნიერო ანგარიშები – 67-მა. 2008 წლიდან თანახმად „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონისა აკადემია იწყებს აგრეთვე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2007 წლის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშების განხილვასა და შეფასებას.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა რეკომენდაციით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა 2006 წლის ანგარიშები ექსპერტიზისათვის გადაეგზავნა 72 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 36 წევრს. ექსპერტთა ჩამონათვალი გადაიგზავნა საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ექსპერტთა შეფასებები ინახება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებში).

2006-2007 წლებში აკადემიამ თავისი საქმიანობა და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომების დიდი ნაწილი დაუთმო ქვეყნისათვის აქტუალური პრობლემების განხილვას. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით აკადემიის პრეზიდიუმის მოსაზრებები ეგზავნებოდა ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს რეაგირებისათვის.

კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნები და ამოცანები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოკლედ ჩამოყალიბებულია „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2006 წლის“ ანგარიშში. აღსანიშნავია, რომ ევროპულ სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია და მასში მყარი პოზიციების დაკავება შესაძლებელი გახდა ქართველ მეცნიერთა ტრადიციული მაღალრეიტინგული ფუნდამენტური პროფილის სამეცნიერო პოტენციალის ერთიან სისტემაში კონცენტრაციით, რასაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2007 წელს წარმატებით ახორციელებდა. აღნიშნული იდეოლოგია საფუძვლად უდევს მეცნიერების განვითარების მსოფლიო ტენდენციას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების მიერ მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში შეტანილ წვლილზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების სამეცნიერო საქმიანობის შედეგები 2006-2007 წლებში (ცხრილი 1).

დღეს თუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს აქვთ მეცნიერული თვალსაზრისით მაღალი მაჩვენებლები, ეს მსოფლიოში აღიარებული ქართული სამეცნიერო სკოლების უდავო დამსახურებაა,

რადგანაც ჩვენი მეცნიერები დგანან წინაპარ მეცნიერთა „გიგანტურ მხრებზე“.

საქართველოს კანონის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ შეიმუშავა „საქართველოს პოლიტიკა მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში (2015 წლამდე და შემდგომი პერიოდისათვის)“ და წარუდგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდგომი რეაგირებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2007 წლის ანგარიშში წარმოდგენილია აკადემიის წევრების მიერ შესრულებული სამუშაოების ანოტაციები და აკადემიაში შემაჯავლი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი მასალები.

2007 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წლის 1 იანვრიდან.

მონაცემები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრთა სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ

№	სამეცნიერო განყოფილების დასახელება	აკადემიის წევრთა რაოდენობა					
		2006 წ.			2007 წ.		
		სულ	აკად.	წევრ-კორ.	სულ	აკად.	წევრ-კორ.
1.	მათემატიკისა და ფიზიკის	20	12	8	20	12	8
2.	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა	6	2	4	6	2	4
3.	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების	14	5	9	13	5	8
4.	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის	11	8	3	11	8	3
5.	ბიოლოგიის	16	6	10	13	5	8
6.	ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის	12	9	3	11	9	2
7.	სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა	7	3	4	7	3	4
8.	საზოგადოებრივ მეცნიერებათა	14	7	7	14	7	7
9.	ენისა და ლიტერატურის	16	6	10	14	5	9
10.	ჯ ა მ ი	116	58	58	109	56	53

№	გამოცემულ ან გამოსაცემად გადაცემულ მონოგრაფიათა რაოდენობა				გამოცემულ ან რედაქციების მიერ გამოსაცემად მიღებულ სამეცნიერო სტატიათა რაოდ.				მიღებული გრანტები			
	2006 წ.		2007 წ.		2006 წ.		2007 წ.		2006 წ.		2007 წ.	
	სულ	მ.შ. უცხოეთში	სულ	მ.შ. უცხოეთში	სულ	მ.შ. უცხოეთში	სულ	მ.შ. უცხოეთში	სულ	მ.შ. უცხოეთის	სულ	მ.შ. უცხოეთის
1.	3	1	1	1	45	31	44	20	24	13	18	10
2.	4	1	1	-	8	2	12	5	2	1	7	5
3.	3	-	3	-	21	10	36	16	3	2	1	1
4.	5	-	2	-	12	9	43	13	7	5	4	1
5.	2	2	1	-	28	10	29	10	11	7	5	5
6.	3	-	2	-	42	13	35	28	4	4	1	1
7.	4	1	7	1	18	11	41	13	5	3	4	2
8.	23	4	8	2	28	13	48	10	2	-	4	1
9.	10	3	4	-	8	-	16	-	4	1	2	2
10.	57	12	29	4	210	99	304	114	62	36	46	29

№	სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა				სსიპ – სამეცნიერო დაწესებულებების შესაფასებლად შემოსული სამეცნიერო ანგარიშების რაოდენ.		გამოგონებაზე მოპოვებული პატენტების რაოდენობა	
	2006 წ.		2007 წ.		2006 წ.	2007 წ.	2006 წ.	2007 წ.
	სულ	მ.შ. უცხოეთში	სულ	მ.შ. უცხოეთში				
1.	15	14	23	19	6	5	-	-
2.	-	-	4	4	8	8	-	-
3.	10	6	10	5	7	9	1	5
4.	5	5	9	6	5	4	4	7
5.	4	4	11	8	7	6	-	-
6.	21	13	9	9	5	5	-	-
7.	4	4	7	3	17	17	2	2
8.	11	2	18	8	10	9	-	-
9.	6	2	7	1	4	4	-	-
10.	76	50	98	63	69	67	7	14